GRASS REFORMANDA

ჯგუფ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 45
თარიღი: 24 02 2015 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/4453
20/02/2015

4453-04/07-2-201502200938

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)“ დირექტორის მოადგილეს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

სამინისტროში 2015 წლის 11 თებერვალს შემოსული თქვენი #45 წერილის პასუხად, დამატებით გაცნობებთ, რომ 1992-2014 წლებში აფხაზეთში მოძიებული და გადმოსვენებულ იქნა 197 პირი (165, როგორც ჩვენს #04/07/4410 წერილში იყო მითითებული და 32 - ბაბუშერას სასაფლაოდან გადმოსვენებული).

გთხოვთ გაითვალისწინოთ.

პატივისცემით

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/4410
19/02/2015

GRASS
FORMANDA
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 46
თარიღი: 24 02 2015 წ.

4410-04/07-2-201502191633

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)" დირექტორის მოადგილეს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

სამინისტროში 2015 წლის 11 თებერვალს შემოსული თქვენი #45 წერილის პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღირიცხება 2000-მდე პირი. აქედან 795 მებრძოლი, ხოლო დანარჩენი - მშვიდობიანი მოქალაქე.

ქართულმა მხარემ აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროცესი დაიწყო 1992 წლის დეკემბრის თვიდან. ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგად, 1992-2014 წლებში აფხაზეთში მოძიებული და გადმოსვენებულ იქნა 165 (როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო) პირი, ხოლო 236 გამოყვანილ იქნა ცოცხლად. ამავე პერიოდში აფხაზურ მხარეს გადაეცა 49 ცხედარი და 87 პირი ცოცხლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების კუთხით ძირითადი საქმიანობა განხორციელდა 2003 წლამდე.

2003 წელს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის ყოფილმა სახელმწიფო კომისიამ (ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განყოფილება), საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის დაფინანსებითა და თანადგომით, ჩაატარა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა აღრიცხვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და შეადგინა სიკვდილის წინარე ე.წ. „Antem-mortem" ანკეტები თითოეულ დაკარგულ პირზე, რის შედეგადაც შეიქმნა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მონაცემთა ბაზა, რომელიც კონფიდენციალურია.

2003 წლის 14 ნოემბერს, დაკარგულ პირთა მოძიების მიზნით ქ. ოჩამჩირეში შედგა ქართველ და აფხაზ დაკარგულ პირთა დედების შეხვედრა.

2005 წლის მარტში სახელმწიფო კომისიამ მოიძია სამი ქართველი მებრძოლის სამარხი სოფელ კოჩარაში.

2005 წლის 14 აპრილს, ხონის რაიონის სოფელ ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზოში, აფხაზური მხარის მოთხოვნით, მოძიებულ იქნა და აფხაზეთში გადასვენდა სამი მიცვალებული.

2005 წლის ზაფხულში, სვანეთში, კომისიის მიერ ჩატარდა სამუშაო ერთი აფხაზი მებრძოლის საფლავის მოძიების მიზნით.

2005 წლის ოქტომბერში სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლებმა აფხაზურ მხარეს გადასცეს კომისიის მერ მოძიებული 6 დაკარგული აფხაზი მებრძოლის სია.

2006 წლის 18 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ რეყეში, თორდიების ოჯახში, კომისიის თაოსნობით, აფხაზი დედა მანანა შუშანია შეხვდა თავის ორ ქართველ შვილს, ლია და დიანა აკობიძეებს. 14 წლის განმავლობაში დედას ეგონა, რომ მისი ქმარ-შვილი დაიღუპა დაბომბვის შედეგად.

2006 წლის ივნისში ზუგდიდსა და სენაკის ტერიტორიაზე მოძიებულ იქნა სამი ქართველი მეომრის საფლავი, რომლებიც გადმოსვენდნენ და დაიკრძალნენ დიღმის ძმათა სასაფლაოზე.

2006 წლის 11 სექტემბერს ჭუბურხინჯის მოლაპარაკებებზე აფხაზურ მხარეს გადაეცა უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ აფხაზ მებრძოლთა ალბომი, რომელიც გაკეთდა სახელმწიფო კომისიის მიერ.

მოძიებულია და დადგენილია თბილისის ზღვის სასაფლაოზე დასაფლავებული სამი უცნობი ქართველი მეომრის სამარხი.

2009 წლის სექტემბერში კომისიის წევრების მიერ ჩატარდა სამუშაო მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში, ორი პირის საფლავის დაზუსტების მიზნით.

სახელმწიფო კომისიამ მოიძია სოხუმის რაიონის სოფელ მაჭარკაში დასაფლავებული 9 მებრძოლის სამარხი, რომელთაგან იდენტიფიცირებულია 5 პირის ვინაობა.

2010 წლის სექტემბერში სახელმწიფო კომისიის მიერ ჩატარებულ იქნა სამუშაო სოხუმის შსს განყოფილების 5 თანამშრომლის საფლავის დაზუსტების შესახებ.

2010 წლის შემოდგომაზე, სახელმწიფო კომისიის წევრები იმყოფებოდნენ საჩხერეში, ქუთაისსა და ზუგდიდში, 1992 წლის 21 აგვისტოს დაკარგული, სოფელ ბესლახუბაში მცხოვრები აფხაზი მებრძოლის სამარხის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

2008 წლის აგვისტოს ქართულ-რუსული ომის შემდეგ მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან შეფერხდა.

წითელი ჯვრის ეგიდით 2010 წელს შეიქმნა ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც სწავლობს 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მათი სამარხების მოძიების საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა 2013 წლიდან. შედგა რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა მაღალ დონეზე: საქართველოს მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების, ხოლო აფხაზეთის მხრიდან აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით.

ამ შეხვედრებზე გადაწყდა სოხუმის ბაბუშერას და თბილისის დიღმის ძმათა სასაფლაოს ექსჰუმაცია.

2014 წლის გაზაფხულზე არგენტინელი ექსპერტ-ანთროპოლოგების მონაწილეობით განხორციელდა ბაბუშერას სასაფლაოზე ძმათა სამარხის ექსჰუმაცია. იდენტიფიცირების მიზნით ნეშტები გადმოსვენებულ იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. დნმ-პროფილები და დაღუპულთა ოჯახების ბიოლოგიური მასალები იდენტიფიცირებისათვის ზაგრების ლაბორატორიაში გადაიგზავნა.

2014 წლის 4 დეკემბერს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა წარმოადგინა 4 ნეშტის იდენტიფიკაციის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა. ოთხივე ნეშტი ეკუთვნის ერთ ოჯახს. ესენი არიან ბელა ზალდასტანიშვილის ორი შვილი და ორი ძმა (ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილები და ვასილ და ნიკოლოზ წიკლაურები). დაღუპულები უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ და 1993 წლის 22 სექტემბერს სოხუმში სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოყვანის ოპერაციაში მონაწილეობისთვის გაემგზავრნენ. მათი თვითმფრინავი ბაბუშერას აეროპორტში დაჯდომისას ააფეთქეს.

რამდენიმე დღის წინ იქნა წარმოდგენილი კიდევ 5 ნეშტის იდენტიფიკაციის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა. მიმდინარეობს დარჩენილი ნეშტების დნმ-ის კვლევა.

ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება რამდენიმე სამარხის ექსჰუმაციის თაობაზე.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროცესში დღემდე ჩართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის საქველმოქმედო ფონდი ,,მოლოდინი", საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი, წამების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრი ,,ჯისიარტი", ასოციაცია ,,ქსენონი", არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ნაბიჯი მომავლისაკენ".

პატივისცემით

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი